საექსპერტო შეფასება

ქ.თბილისში, ვარკეთილის III მასივში - ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

შპს „ვარკეთილი დეველოპმენტი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩემს მიერ - ექსპერტი - კონსტრუქტორი - ნ.ჭკუასელი, 2019 წლის აგვისტოში შემოწმებული და შესწავლილი იქნა საექსპერტიზოდ წარმოდგენილი - ქ.თბილისში, ვარკეთილის III მასივში მდებარე (ს/კ 01.19.20.020.080) მრავალსართულიანი სახცოვრებელი კომპლექსის „ბ” ბლოკის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სისტემის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები და „განმარტებითი ბარათი“ - შენობის მდგრადობის დადგენისა და „საექსპერტო შეფასების“ გაცემის მიზნით.

დამკვეთი: შპს „ვარკეთილი დეველოპმენტი“ - დირექტორი: - დიმიტრი ადამია,
მთავარი არქიტექტორი: - სალომე ავალიანი
შემსრულებელი არქიტექტორი: - ლევან მაღლაკელიძე
კონსტრუქტორი: - თეონა გოგინაშვილი
ექსპერტი - კონსტრუქტორი: - ნ.ჭკუასელი

ასაშენებელი ნაგებობა შედგება მიწისზედა 14 სართულისა და 2 მიწისქვეშა სართულისაგან. შენობის ზომა განაპირა ღერძებში 14,78x52,44 მ. მაქსიმალური მალი L=7. 6მ.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა სისტემა დიაფრაგმებით. შენობის მიწისქვეშა სართულის სიმაღლეა - H=3.0 მ, პირველი მიწისზედა სართულის სიმაღლეა H=2,95 მ. დანარჩენი სართულების სიმაღლეა H=3.15მ.

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომებია:

- საძირკვლის ფილა: h = 100 სმ;
- პიდონები: 60-40 x100-80 სმ;
- მონოლითური კედლები: - h = 25 სმ;
- მონოლითური დიაფრაგმები: 30 - 25 სმ;
- გადახურვის ფილა - 20-18,0 სმ
- მონოლითური კოჭები - bxh = 5025x50 სმ;
- სამანქანო პანდუსები, კიბის პანდუსები და ბაქნები h = 30-18 სმ;

შენობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან და საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი შენობების გეომეტრიული პარამეტრებიდან გამოდინარე 16 სართულიანი შენობა (მ.შ. 2 მიწისქვეშა სართულით) დაფუძნებულია საძირკვლის ფილის მეშვეობით, ძირითად ქანზე, ძლიერ გამოფიტული-გათიხებული „მაიკოპის წყება“ (სგე II, ფენა 4. იხ. გეოლოგიური დასკვნა), რომლის საანგარიშო წინაღობა შეადგენს R_0=2.7 კგძ/მ^2.

საძირკვლის ქვეშ გათვალისწინებულია 40 სმ სისქის დატკეპნილი ხრეშის მოსასწორებელი ფენის მოწყობა და 10 სმ სისქის ბეტონის მომზადება B7.5 კლასის ბეტონისაგან.

შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციაში გამოყენებულია ბეტონი კლასით B30, ხოლო მიწასთან შეხებაში მყოფი კონსტრუქციებისთვის წყალშეუღწევადობის მიხედვით - შესაბამისად W8 მარკის სულფატმდგრად ცემენტებზე დამზადებული ბეტონები (სტანდარტი 22266-76).

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გამოყენებულია B500BW კლასის არმატურა, ყოველი შემოტანილი პარტიის ხარისხის შემოწმებით.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე გრუნტის გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიასღებად აუცილებელია გეოლოგიური დასკვნის გაცნობა.

გეოლოგიური დასკვნის მიხედვით სამშენებლო მოედანი ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით. მიწის ზედაპირიდან გრუნტის წყლები გამოვლენილი იქნა 5,0-6,8მ-ის სიღრმეზე.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A-0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ^2, ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ^2.

შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულდა სტატიკურ და დინამიკურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის LIRA-SAPR 2017 R-3-ის გამოყენებით. (შესყიდვის სალიცენზიო ნომერი N92095856).

მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფლებს მდგრადობის, სიმტკიცისა და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

განმარტებით ბარათში სამართლიანადაა მითითებული შენიშვნები და რჩევები, რომელთაც ჩვენც ვიზიარებთ.

ასეთებია: ა. მშენებლობის წარმოების პროექტის აუცილებელი დამუშავება;

ბ. საძირკვლის ქვეშა ქანები მიღებული იქნას ინჟინერ-გეოლოგიური ნორმების თანახმად;

გ. შენობის მიბმა ადგილზე განხორციელდეს არქიტექტურული ნახაზების შესაბამისად;

დ. რკინაბეტონის ელემენტების დაბეტონებისას კონტროლი გაეწიოს ბატონის მარკას, ვიბრირებას დაბეტონების ხარისხს და სამუშაოთა წარმოების პროცესებს.

ე. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები წარმოებული უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი და „განმარტებითი ბარათით“ მითითებულ ნორმებთან სრულ შესაბამისობაში.

3. მშენებლობა განხორციელდეს საავტორო ზედამხედველობის ქვეშ.

დამატებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი პასუხისმგებლობით დაიცვან მშენებლობისას უსაფრთხოებისა და ხარისხის პირობები.

ამრიგად, შესრულებულია საკმარისი მოცულობის სამუშაო ქვეყანაში მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად მაღალ პროფესიულ-ტექნიკურ დონეზე.

წარმოდგენილი მასალების განხილვის შემდეგ ექსპერტს გააჩნდა შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა საპროექტო დოკუმენტაციაში ავტორების მიერ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის საერთო დასკვნა.

დასკვნა

ქ.თბილისში, ვარკეთილის III მასივში ასაშენებელი მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის გაცნობისას, შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებისა და შედეგების ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ კმაყოფილდება მდგრადობის, სიმტკიცის, დეფორმაციის, უსაფრთხოების შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები. პროექტის მიმართ დადებითი შეფასება შესაძლებელს ხდის მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად მშენებლობის ნებართვის გაცემის გათვალისწინებით.

ექსპერტი-ინჟინერ-მშენებელი,

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ.ჭკუასელი

CV

ნიკოლოზ ჭკუასელი

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭკუასელი ნიკოლოზ პეტრეს–ძე
დაბადების თარიღი, ადგილმდებარეობა	1934წ., 9 აგვისტო, ქ. თბილისი
მისამართი, ტელეფონი	ქ. თბილისი, ბახტრიონის 1–ლი კორ., ბ.200 ტელ.: 2362501, მობ.: 555 36 25 01
განათლება	1952წ. – ქ. თბილისის ვაჟთა მე–7 საშ. სკოლა 1958წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მშენებელ–ინჟინერის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1968წ. – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი – (დიპლომი). 1995წ. – აშშ–ს მეცნიერების, განათლების, მრეწველობის, ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი – (სიგელი) 2003წ. – საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი) 2006წ. – საქართველოს დამსახურებული მშენებელი – (სიგელი) 2007წ. – საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი)
საქმიანობა, სამუშაო გამოცდილება	1958–1962წ.წ. – „თბილქალაქპროექტი“ – ინჟინერ–კონსტრუქტორი. 1962–1976წ.წ. – სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი. 1976-1992წ.წ. – ამავე ინსტიტუტში – შეთავსებით, მეცნიერ–თანამშრომელი. 1976–1996წ.წ. – მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში („საქსახმშენი“) – სამმართველოს, მთავარი სამეცნიერო–ტექნიკური სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი. 1996წ. დღემდე – სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრი, შპს საპროექტო სამშენებლო ინჟინერინგი – დირექტორის მოადგილე, დირექტორი. 1971–1974წ.წ. – ალჟირის სახალხო–დემოკრატიული რესპუბლიკა, მივლინებით – საკონსტრუქტორო ბიურო, საპროექტო–ტექნოლოგიური, სასწავლო ინსტიტუტი – უფროსი ინჟინერი, ჯგუფის უფროსი, ლექტორი. 1977–1992წ.წ. – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები და ექსპერტიზა	გამოქვეყნებულია 48 სამეცნიერო შრომა – სამშენებლო კონსტრუქციების ექსპერიმენტალურ–თეორიული კვლევების განხრით. თხუთმეტზე მეტი პუბლიკაცია რესპუბლიკისა და უცხოეთის ჟურნალ–გაზეთებში – მშენებლობის დარგის განვითარების და საქართველოს მშენებელთა მოღვაწეობის შესახებ; მონაწილეობა საქართველოსა და უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციებში. გაცემულია 100–მდე საექსპერტო დასკვნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე და საერთოდ მშენებლობის მდგრადობაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესაბამისად კურატორობდა და პირადად მონაწილეობდა „სამშენებლო ნორმებისა და წესების“ დამუშავება–გამოქვეყნებაში.
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური, რუსული – კარგად. ინგლისური, ფრანგული – სასაუბრო, თარგმნა-ლექსიკონის დახმარებით.

LID 2 2 5 1 3 1 3 1 3

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 041079

Москва 5 марта 1969 г.


Решением
Совета при Тбилисском научно-исслед. институте сооружений и гидроэнергетики им. А.В. Ве
от 7 мая 1968 г. (протокол № 2)

Чкуасели Николаю Петровичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТ ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета



ДИПЛОМ

К № 756982

Настоящий диплом выдан ...


в том, что ... году поступил ... и в 19... году окончил ... полный курс по специальности ...

Решением Государственной экзаменационной комиссии от ... 19... г. присвоена квалификация ...

Председатель Государственной экзаменационной комиссии ...

Ректор (Директор) ...

Регистрационный № ... 19... г.



№ ა 0207506

ფოტოსურათი

ფამილიის ასოები

სახელი

მამის სახელი

დაბადების თარიღი 08.08.1934 წ.

დაბადების ადგილი

დიპლომი

სერტიფიკატი

მაჭონ ნიკოლოზ ძეკობერიას

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წ-ის 22 ოქტომბრის №1-1/1266 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

საქართველოს მშენებლების ფედერაციის პრეზიდენტი

საქართველოს მშენებლების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი